



პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

დამოუკიდებელი ანალიზი

სახელმწიფო ფინანსების მდგრადობის ხელშეწყობისათვის

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტის

მოკლე მიმოხილვა

(მეორე წარდგენა)

## შინაარსი

1. ფისკალური გარემო 2018 წლისათვის .....	3
1.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები .....	3
1.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები .....	5
1.3. სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა .....	8
2. დანართები .....	<u>11</u>
დანართი 1.....	11
დანართი 2.....	12
დანართი 3.....	18

# 1. ფისკალური გარემო 2018 წლისათვის

## 1.1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2019 წლისთვის განსაზღვრულია 12.969 მლნ ლარის დონეზე ანუ ბიუჯეტის წინა ვარიანტთან შედარებით იზრდება 357 მლნ ლარით (2.8%-ით), ძირითადად შემოსავლების, აგრეთვე, საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მატების გავლენით. შესაბამისად, 2018 წლის საგეგმო მაჩვენებელთან შედარებით შემოსულობების ზრდის მაჩვენებელიც იმატებს და აღწევს 527 მლნ ლარს, 4.2%-ს (2018 წლის დამტკიცებული გეგმით გათვალისწინებულია წინა წელთან შედარებით შემოსულობების 7%-იანი ზრდა, 2017 წელს კი ანალოგიური ზრდის ტემპი 12%-ს შეადგენდა).

კანონპროექტის მიხედვით, 2019 წლის წინა ვარიანტთან შედარებით, შემოსულობების აგრეგატული მაჩვენებლის ზრდა ითვალისწინებს როგორც საშინაო, ასევე საგარეო წყაროდან (გრანტები და საგარეო სესხები) მოზიდული სახსრების მატებას, შესაბამისად, 110 მლნ ლარით და 247 მლნ ლარით.

რაც შეეხება შემოსავლებს (შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და სხვა შემოსავლებს), მისი საპროგნოზო სიდიდე 2019 წლის ბიუჯეტის წინა ვარიანტის საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 192 მლნ ლარით და შეადგენს 10,474 მლნ ლარს, ძირითადად გრანტებისა და საგადასახადო შემოსავლების ზრდის გავლენით. კერძოდ:

- საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი<sup>1</sup> წარმოდგენილი კანონპროექტით 80 მლნ ლარით მეტი ოდენობით, 9,645 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. 2018 წლის 10 თვის შესრულების მდგომარეობისა და წლიური გეგმური მაჩვენებლების მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით, ცვლილება ძირითადად შეეხო საშემოსავლო, სააქციო და სხვა გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლებს: საშემოსავლო გადასახადი იზრდება 51 მლნ ლარით, სხვა გადასახადების მაჩვენებელი 77 მლნ ლარით, ხოლო სააქციო შემოსავლები მცირდება 43 მლნ ლარით.
- გრანტების საპროგნოზო მოცულობა, ბიუჯეტის პროექტის პირველ წარდგენასთან შედარებით, გაზრდილია 102 მლნ ლარით და შეადგენს 368.5 მლნ ლარს, რაც ძირითადად დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების ზრდასთან. კერძოდ: ევროკავშირიდან გათვალისწინებულია დამატებით 92 მილიონი ლარის მიღება (მ.შ. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში - 47 მლნ ლარის, საქართველოში მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში - 17 მლნ ლარის, მაკრო-ფინანსური დახმარების პროგრამის (MFA) ფარგლებში 14 მლნ ლარის, DCFTA-ს განხორციელების და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით - 15 მლნ ლარის). ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადასაცემი სახსრების მოცულობა იზრდება 10 მლნ ლარით, 60 მლნ ლარამდე.
- სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა კანონპროექტის წინა ვარიანტთან შედარებით იზრდება 10 მლნ ლარით. ჯარიმების (სანქციები, საურავების) სახით მისაღები შემოსავლების

<sup>1</sup> საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების საბოლოო ანალიზი შესაძლებელი გახდება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წლიური მაკროეკონომიკური/ფისკალური პროგნოზების განახლების შემდგომ, მიმდინარე წლის დეკემბერში.

მატების გავლენით (კორექტირება განხორციელდა მიმდინარე წლის საგეგმო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის მიხედვით).

არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობები წარმოდგენილი კანონპროექტით, იმატებს 10 მლნ ლარით, 70 მლნ ლარამდე. ზრდა დაკავშირებულია რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელთან, რაც კანონპროექტის პირველ ვერსიაში არ იყო გათვალისწინებული.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 2,305 მლნ ლარის დონეზე, რაც 145 მლნ ლარით აღემატება კანონპროექტის წინა ვერსიით წარმოდგენილ მაჩვენებელს. აღნიშნული ზრდა ითვალისწინებს დამატებით სახსრების მოზიდვას საგარეო წყაროდან, კერძოდ: საინვესტიციო კრედიტების სახით 55 მლნ ლარის და ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით 90 მლნ ლარის მიღებას (მ.შ. საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელია 75 მლნ ლარის და გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკიდან (KfW) - 145 ლარის მიღება, ხოლო წინა პროექტისგან განსხვავებით აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოსაყოფი ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები 130 მლნ ლარის ოდენობით, გათვალისწინებული არ არის).

	2017 წლის შესრულება	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი (I)	2019 წლის პროექტი (II)	2019 პროექტი II / 2019 პროექტი I		2019 პროექტი II / 2018 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>სულ შემოსულობები</b>	<b>11,618.7</b>	<b>12,441.0</b>	<b>12,611.7</b>	<b>12,968.5</b>	<b>356.9</b>	<b>2.8%</b>	<b>527.5</b>	<b>4.2%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>9,750.3</b>	<b>10,314.2</b>	<b>10,281.7</b>	<b>10,473.5</b>	<b>191.9</b>	<b>1.9%</b>	<b>159</b>	<b>1.5%</b>
<b>გადასახადები</b>	<b>8,991.3</b>	<b>9,490.0</b>	<b>9,565.0</b>	<b>9,645.0</b>	<b>80.0</b>	<b>0.8%</b>	<b>155</b>	<b>1.6%</b>
საშემოსავლო გადასახადი	2,526.0	2,780.0	3,115.0	3,166.0	51.0	1.6%	386.0	13.9%
მოგების გადასახადი	756.6	630.0	786.0	781.0	-5.0	-0.6%	151.0	24.0%
დღგ	4,122.6	4,400.0	4,036.0	4,036.0	0.0	0.0%	-364.0	-8.3%
აქციზი	1,450.9	1,450.0	1,505.0	1,462.0	-43.0	-2.9%	12.0	0.8%
იმპორტის გადასახადი	71.6	60.0	83.0	83.0	0.0	0.0%	23.0	38.3%
სხვა გადასახადი	63.6	170.0	40.0	117.0	77.0	192.5%	-53.0	-31.2%
<b>გრანტები</b>	<b>350.6</b>	<b>414.2</b>	<b>266.650</b>	<b>368.5</b>	<b>101.9</b>	<b>38.2%</b>	<b>-45.7</b>	<b>-11.0%</b>
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	201.9	250.0	170.2	272.0	101.9	59.9%	22.0	8.8%
საინვესტიციო გრანტები	148.7	164.2	96.5	96.5	0.0	0.0%	-67.7	-41.2%
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>408.4</b>	<b>410.0</b>	<b>450.0</b>	<b>460.0</b>	<b>10.0</b>	<b>2.2%</b>	<b>50.0</b>	<b>12.2%</b>

შემოსავლები საკუთრებიდან	141.8	151.0	171.0	171.0	0.0	0.0%	20.0	13.2%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	99.7	80.7	94.5	94.5	0.0	0.0%	13.8	17.1%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	55.3	60.0	75.0	85.0	10.0	13.3%	25.0	41.7%
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	19.6	2.4	2.6	2.6	0.0	0.0%	0.2	8.3%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	92.1	115.9	106.9	106.9	0.0	0.0%	-9.0	-7.8%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>97.6</b>	<b>60.0</b>	<b>60.0</b>	<b>70.0</b>	<b>10.0</b>	<b>16.7%</b>	<b>10.0</b>	<b>16.7%</b>
ძირითადი აქტივები	59.3	55.5	57.0	57.0	0.0	0.0%	1.5	2.7%
არაწარმოებული აქტივები	38.3	4.5	3.0	13.0	10.0	333.3%	8.5	188.9%
მ.შ. მიწა	5.3	3.0	3.0	3.0	0.0	0.0%	0.0	0.0%
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	33.0	1.5	0.0	10.0	10.0		8.5	566.7%
<b>ფინანსური აქტივების კლება</b>	<b>119.1</b>	<b>80.0</b>	<b>110.0</b>	<b>120.0</b>	<b>10.0</b>	<b>9.1%</b>	<b>40.0</b>	<b>50.0%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>1,651.6</b>	<b>1,986.8</b>	<b>2,160.0</b>	<b>2,305.0</b>	<b>145.0</b>	<b>6.7%</b>	<b>318.3</b>	<b>16.0%</b>
საგარეო	1,252.1	1,586.8	1,660.0	1,805.0	145.0	8.7%	218.3	13.8%
საშინაო	399.5	400.0	500.0	500.0	0.0	0.0%	100.0	25.0%

ცხრილი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი).

## 1.2. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებს, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 13 მლრდ ლარის დონეზე, რაც წინა პროექტით წარმოდგენილ მაჩვენებელს (12,730 მლნ ლარი) 268 მლნ ლარით (2.1%-ით) აღემატება. აღნიშნული დინამიკა უკავშირდება როგორც ხარჯების, ასევე კაპიტალური ხარჯების ცვლილებას (შესაბამისად, 142 - 142 მლნ ლარით), და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით შემცირებას (16.7 მლნ ლარით) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წინა წარდგენასთან შედარებით. ჯამურად, 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით გადასახდელების ზრდის ტემპი 2.2%-ს შეადგენს. გადასახდელების ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებაში, მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებლებთან შედარებით გათვალისწინებულია არსებითი

ზრდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებისათვის(ე.წ. კაპიტალური ხარჯების) - 454 მლნ ლარით (28%-ით) შეადგენს, ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები შენარჩუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველი წარდგენით მოცემული მაჩვენებლების დონეზე. მხარჯავი დაწესებულებების და პროგრამების მიხედვით გადასახდელების დინამიკა როგორც მიმდინარე წლის გეგმურ, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველი წარდგენით მოცემული მაჩვენებლებთან მიმართებით მოცემულია დანართების სახით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 პროექტი (I წარდგენა)	2019 პროექტი (II წარდგენა)	2019 პროექტი (II წარდგენა) / 2019 პროექტი (I წარდგენა)	
					%-ული ცვლილება	%-ული ცვლილება
<b>გადასახდელები</b>	<b>11,764,835</b>	<b>12,459,500</b>	<b>12,729,700</b>	<b>12,997,585</b>	267,885	<b>2.1%</b>
ხარჯები	9,372,090	9,720,893	9,279,052	9,421,540	142,488	<b>1.5%</b>
არაფინანსური აქტივების ზრდა	971,756	1,628,530	2,082,279	2,224,376	142,097	<b>6.8%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	905,602	349,995	434,490	417,790	-16,700	<b>-3.8%</b>
ვალდებულებების კლება	515,388	760,082	933,879	933,879	0	<b>0.0%</b>

ცხრილი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (მლნ ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების პრიორიტეტების მიხედვით ალოკაცია წარმოდგენილია ცხრილში N3.

პრიორიტეტი*	2019 წლის პროექტი	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი
ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2234.7	2017.1	217.6	2292.9	2371.9	2464.7
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2255.4	2143.9	111.5	3040.6	3846.4	4009.5
რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი	1687.9	1325.8	362.1	1780.6	1829.7	1896.0
განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება	351.7	196.8	154.9	353.2	355.2	357.4
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება	334.2	174.8	159.4	359.5	368.2	327.0
ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა	100.7	100.7		128.7	138.7	158.7
იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა	392.0	313.1	78.9	399.6	407.5	422.2
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	136.5	136.0	0.5	136.5	136.5	136.5

საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია	278.8	269.0	9.8	318.4	321.0	280.2
სოფლის მეურნეობა	151.6	98.0	53.6	140.1	140.9	141.6
სასამართლო სისტემა	2234.7	2017.1	217.6	2292.9	2371.9	2464.7
გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა	118.4	63.3	55.1	107.7	111.9	118.5

**ცხრილი 3:** სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების განაწილება პრიორიტეტების მიხედვით (მლნ ლარი). წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული ინფორმაცია პროგრამებისა და მათი მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

\* პრიორიტეტების მიხედვით ალოკაცია არ ითვალისწინებს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახდელებს და შესაძლებელია არ იძლეოდეს სრულყოფილ სურათს თანხობრივი განაწილების შესახებ.

რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივ გადასახდელებს, მეორე წარდგენით აღნიშნული ტიპის გადასახდელების გეგმურ მაჩვენებლებში პირველ წარდგენასთან მიმართებით არსებითი ცვლილება წარმოდგენილი არ არის. კერძოდ, ძირითადი ცვლილება მიმდინარე წლის მაჩვენებლებთან შედარებით უკავშირდება წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია აღნიშნული ტიპის გადასახდელების გეგმური მაჩვენებლის შემცირება 328 მლნ ლარით მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან შედარებით, რაც ძირითადად უკავშირდება ერთი მხრივ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გადასაცემი ტრანსფერების მოცულობის შემცირებას 739 მლნ ლარით (96%-ით) დაფინანსების სქემის ცვლილების გავლენით, ხოლო მეორე მხრივ, საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის მუხლით გადასახდელების 215 მლნ ლარით (21%-ით) და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების ზრდას. რაც შეეხება საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების სხვა კომპონენტებს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა იზრდება 20 მლნ ლარით და განსაზღვრულია 280 მლნ ლარის დონეზე, ხოლო 8 თვის მდგომარეობით გამოყოფილი სახსრები 75 მლნ ლარს, ხოლო შესრულება - 68.6 მლნ ლარს შეადგენს. რაც შეეხება მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდს, მისი მოცულობა ანალოგიურად შენარჩუნდებულია 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებლის დონეზე, ხოლო 8 თვის მდგომარეობით გამოყოფა და შესრულება, შესაბამისად, 4.5 მლნ ლარსა და 3.2 მლნ ლარს შეადგენს.

	2017 წელი ფაქტი	2018 წელი გეგმა	2019 წელი პროექტი	2018 წ. პროექტი/2017 წ. გეგმა სხვაობა %-ული ცვლილება	
<b>საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები</b>	<b>2017*</b>	<b>2585.2</b>	<b>2257.5</b>	<b>-327.7</b>	<b>-12.7%</b>
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	665	1015	1230	215	21.2%
სამინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	274	295	324	29	9.8%
ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები	942*	768	28.7	-739.3	-96.3%
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	4.9*	5	5	0	0.0%
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	73.7*	50	50	0	0.0%

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	297.3*	260	280	20	7.7%
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი	23.5*	20	20	0	0.0%

**ცხრილი 4:** საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები (მლნ ლარი).

\* ფონდების ფაქტობრივი შესრულების ანალიზისას საყურადღებოა ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესრულების აღრიცხვის სპეციფიკა, კერძოდ, ორმაგი აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად შესრულების ეტაპზე ფონდებიდან მიმართული სახსრები აღრიცხება შესაბამისი მიმღები პროგრამის შესრულების ნაწილში.

### 1.3. სახელმწიფო ვალდებულებების დინამიკა

სახელმწიფო ვალდებულებებთან დაკავშირებით, როგორც დასაგეგმი წლისათვის, ისე საშუალოვადიან პერიოდში არსებითად იზრდება საგარეო ვალდებულებების დაფარვისა და შესაბამისად, ახალი საგარეო ვალდებულებების აღების სახსრები.

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის კანონთან შედარებით გათვალისწინებულია ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ზრდა საგარეო წყაროებიდან მიღებული ვალდებულებების 318.3 მლნ ლარის ოდენობით ზრდის გავლენით. კერძოდ, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები განსაზღვრულია 2,305 მლნ ლარის დონეზე, რაც 2018 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ანალოგიურ მაჩვენებელს 318.3 მლნ ლარით (14%) აღემატება.

საგარეო ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ზრდა (1,805 მლნ ლარი) ითვალისწინებს გრძელვადიან საინვესტიციო კრედიტებს 1,420 მლნ ლარის ოდენობით და ბიუჯეტის მხარდაჭერი რესურსის სახით „სოციალური კეთილდღეობის პროგრამის“ ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) 105 მლნ ლარის, „საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის“ ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) 75 მლნ ლარის, „საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის“ ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) 145 მლნ ლარის და ევროკავშირის „მაკროფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში (MFA) (EU) 60 მლნ ლარის ათვისებას.

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდას, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილია საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) მიმდინარე წლის გეგმური მაჩვენებლის - 500 მლნ ლარის ოდენობით. რამდენადაც აღრიცხვის არსებული სპეციფიკით, წარმოდგენილი მაჩვენებელი ასახავს სახაზინო ფასიანი ქაღალდებიდან ვალდებულებების წმინდა ზრდას (სხვაობას ემისიით მიღებულ შემოსულობებსა და სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვას შორის) და ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაგეგმილი დაფარვა შეადგენს 1,200 მლნ ლარს. გარდა ზემოაღნიშნულისა, საშინაო ვალდებულებების კლების მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) 40 მლნ ლარის ოდენობით.

	2016 წ. ფაქტი	2017 წ. ფაქტი	2018 წ. გეგმა	2019 წ. II წარდგენა	2018 წ./2017 წ.	2019 წ./2018 წ.	
					სხვაობა	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	1459	1651	1986	2305	335	319	16.06%
<b>საშინაო</b>	378.4	399.5	400	500	0.5	100	25.00%

ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	378.4	399.5	400	500	0.5	100	25.00%
საგარეო	1080.6	1252.1	1586.7	1805	334.6	218.3	13.76%
სესხები	1080.6	1252.1	1586.7	1805	334.6	218.3	13.76%

ცხრილი 5.: სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა (მლნ ლარი)

რაც შეეხება ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის თანხის დინამიკას, არსებით ზრდას ავლენს საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის სახსრები, რაც ძირითადად უკავშირდება ძირითადი თანხის დაფარვის სახსრების ზრდას 215 მლნ ლარის ოდენობით, საპროცენტო ხარჯები 50 მლნ ლარით იზრდება. კრედიტორების მიხედვით გადასახდელი სახსრების დინამიკა ავლენს, რომ საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვის სახსრების ზრდა ძირითადად უკავშირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი, აზიის განვითარების ბანკისადმი და განვითარების საერთაშორისო ასოციაციისადმი არსებული ვალდებულებების დაფარვას 2019 წლისათვის.

	2017 წ. ფაქტი	2018 წ. გეგმა	2019 წ. II წარდგენა	2019 წ./2018 წ.	
				სხვაობა	%-ული ცვლილება
საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	685	1,015.00	1,230.00	215.00	21.18%
ხარჯები	254	290	340	50.00	17.24%
ვალდებულებების კლება	431	725	890	165.00	22.76%
საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	274	295	324	29.00	9.83%
ხარჯები	239	260	284	24.00	9.23%
ვალდებულებების კლება	35	35	40	5.00	14.29%

ცხრილი 6.: სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა.

2019 წლისათვის სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 20.1 მლრდ ლარს შეადგენს, აღნიშნული მაჩვენებელი მიმდინარე წლისათვის 17.9 მლრდ ლარს შეადგენს (ბიუჯეტის კანონით). რაც შეეხება სახელმწიფო ვალის დინამიკას მშპ-სთან მიმართებაში, წარმოდგენილი საპროგნოზო მაკროკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ვალის ნაშთის კლებას მშპ-ის 42.2%-მდე 2018 წლისათვის მოსალოდნელი 43,0%-დან. ამასთან, ანალოგიურმა ფარდობამ 2017 წლის დასასრულის მდგომარეობით 44.3% შეადგინა. გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ვალის მდგრადობის ანალიზი, რომელიც ასახავს სახელმწიფო ვალის დინამიკას განსხვავებული რისკების რეალიზების შემთხვევაში. როგორც ვალის მდგრადობის ანალიზიდან ვლინდება, სახელმწიფო ვალის დინამიკისათვის ყველაზე საყურადღებო ასპექტს წარმოადგენს ნომინალური გაცვლითი კურსის შოკი, რომლის რეალიზების შემთხვევაშიც ვალის მშპ-სთან ფარდობა 2019 წლისათვის 55.3%-ს უტოლდება და შემდგომი დინამიკით 2025 წლისათვის მცირდება მშპ-ს 48.9%-ის დონემდე. სხვა შოკების(მათ შორის ნომინალური გაცვლითი კურსის შოკის ამორიცხვით, კომბინირებული შოკის) რეალიზების შემთხვევაში, 2019 წლისათვის ვალის მშპ-სთან ფარდობა 43.8%- 46.3%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო 2024 წლისათვის მშპ-ს 41%-43%-ს უტოლდება, რაც ნაკლებია ფისკალური წესით განსაზღვრულ 60%-იან ლიმიტზე.

კრედიტორები	2019			2018			ცვლილება		
	ვალბის დაფარვა	პროცენტი	სულ	ვალბის დაფარვა	პროცენტი	სულ	ვალბის დაფარვა	პროცენტი	სულ
<b>სულ</b>	<b>890</b>	<b>340</b>	<b>1,230</b>	<b>725</b>	<b>290</b>	<b>1,015</b>	<b>165</b>	<b>50</b>	<b>215</b>
ავსტრია	4	0	4	0	1	1	4	-1	3
კუვეიტი	5	1	6	5	1	6	0	0	0
იაპონია	15	5	20	7	5	12	8	0	8
გერმანია	68	20	90	61	20	81	7	0	9
აშშ	6	1	7	6	1	7	0	0	0
სომხეთი	4	0	5	4	1	4	0	-1	1
აზერბაიჯანი	3	0	4	3	1	3	0	-1	1
ირანი	2	0	3	2	1	3	0	-1	0
ყაზახეთი	11	6	1	10	6	17	1	0	-16
ნიდერლანდები	0	0	1	1	0	1	-1	0	0
რუსეთი	26	6	32	23	7	30	3	-1	2
თურქეთი	6	1	7	5	1	6	1	0	1
უკრაინა	0	0	0	0	0	0	0	0	0
უზბეკეთი	0	0	0	0	0	0	0	0	0
საფრანგეთი	71	4	76	50	5	54	21	-1	22
ჩინეთი	1	-	1	1	0	1	0	0	0
IDA	265	30	295	204	31	236	61	-1	59
IBRD	35	76	111	29	54	83	6	22	28
IFAD	3	1	4	3	1	4	0	0	0
EBRD	41	5	46	31	5	36	10	0	10
EIB	26	14	40	23	11	34	3	3	6
ADB	165	65	230	111	38	149	54	27	81
IMF	131	2	132	146	4	150	-15	-2	-18
EU	-	1	1	0	0	0	0	1	1
CEB	-	1	1	0	0	0	0	1	1
AAIB	-	1	1	0	1	1	0	0	0
ევრობონდები	-	87	87	0	86	86	0	1	1
თურქმენეთი	1	10	11	1	10	11	0	0	0

ცხრილი 7: კრედიტორული დავალიანებების დინამიკა (მლნ ლარი, 2018-2019 წწ.)

## 2. დანართები

### დანართი 1.

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი აგრეგატები (მლნ ლარი).

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი I	2019 წლის პროექტი II	2019 პროექტი (II) / 2019 პროექტი (I)		2019 პროექტი II / 2018 გეგმა	
					სხვაობა	%-ული ცვლილება	სხვაობა	%-ული ცვლილება
<b>შემოსავლები</b>	<b>9,750.3</b>	<b>10,314.2</b>	<b>10,281.7</b>	<b>10,473.5</b>	<b>191.9</b>	<b>1.9%</b>	<b>159.3</b>	<b>1.5%</b>
გადასახადები	8,991.3	9,490.0	9,565.0	9,645.0	80.0	0.8%	155.0	1.6%
გრანტები	350.6	414.2	266.7	368.5	101.9	38.2%	-45.7	-11.0%
სხვა შემოსავლები	408.4	410.0	450.0	460.0	10.0	2.2%	50.0	12.2%
<b>ხარჯები</b>	<b>9,372.1</b>	<b>9,720.9</b>	<b>9,279.1</b>	<b>9,421.5</b>	<b>142.5</b>	<b>1.5%</b>	<b>-299.4</b>	<b>-3.1%</b>
შრომის ანაზღაურება	1,385.4	1,413.6	1,473.8	1,469.6	-4.2	-0.3%	56.0	4.0%
საქონელი და მომსახურება	1,248.4	1,201.3	1,194.0	1,216.8	22.8	1.9%	15.5	1.3%
პროცენტი	476.6	550.0	624.0	624.0	0.0	0.0%	74.0	13.5%
სუბსიდიები	486.3	445.0	439.0	419.6	-19.4	-4.4%	-25.4	-5.7%
გრანტები	1,346.2	1,379.0	454.7	454.7	0.0	0.0%	-924.3	-67.0%
სოციალური უზრუნველყოფა	3,324.3	3,492.8	3,773.1	3,847.8	74.7	2.0%	355.0	10.2%
სხვა ხარჯები	1,105.0	1,239.3	1,320.5	1,389.1	68.6	5.2%	149.8	12.1%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>378.2</b>	<b>593.4</b>	<b>1,002.6</b>	<b>1,052.0</b>	<b>49.4</b>	<b>4.9%</b>	<b>458.6</b>	<b>77.3%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>874.1</b>	<b>1,568.5</b>	<b>2,022.3</b>	<b>2,154.4</b>	<b>132.1</b>	<b>6.5%</b>	<b>585.8</b>	<b>37.4%</b>
ზრდა	971.8	1,628.5	2,082.3	2,224.4	142.1	6.8%	595.8	36.6%
კლება	97.6	60.0	60.0	70.0	10.0	16.7%	10.0	16.7%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-495.9</b>	<b>-975.2</b>	<b>-1,019.7</b>	<b>-1,102.4</b>	<b>-82.7</b>	<b>8.1%</b>	<b>-127.2</b>	<b>13.0%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>640.3</b>	<b>251.5</b>	<b>206.4</b>	<b>268.7</b>	<b>62.3</b>	<b>30.2%</b>	<b>17.2</b>	<b>6.8%</b>
ზრდა	905.6	350.0	434.5	417.8	-16.7	-3.8%	67.8	19.4%
სესხები	309.7	266.8	434.5	417.8	-16.7	-3.8%	151.0	56.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	595.9	83.2	0.0	0.0	0.0		-83.2	-100.0%
კლება	265.3	98.5	228.1	149.1	-79.0	-34.6%	50.6	51.4%
ვალუტა და დეპოზიტები	146.2	18.5	118.1	29.1	-89.0	-75.4%	10.6	57.2%
სესხები	96.1	80.0	110.0	120.0	10.0	9.1%	40.0	50.0%
აქციები და სხვა კაპიტალი	23.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>1,136.2</b>	<b>1,226.7</b>	<b>1,226.1</b>	<b>1,371.1</b>	<b>145.0</b>	<b>11.8%</b>	<b>144.5</b>	<b>11.8%</b>

<b>ზრდა</b>	<b>1,651.6</b>	<b>1,986.8</b>	<b>2,160.0</b>	<b>2,305.0</b>	<b>145.0</b>	<b>6.7%</b>	<b>318.3</b>	<b>16.0%</b>
საშინაო	399.5	400.0	500.0	500.0	0.0	0.0%	100.0	25.0%
საგარეო	1,252.1	1,586.8	1,660.0	1,805.0	145.0	8.7%	218.3	13.8%
<b>კლება</b>	<b>515.4</b>	<b>760.1</b>	<b>933.9</b>	<b>933.9</b>	<b>0.0</b>	<b>0.0%</b>	<b>173.8</b>	<b>22.9%</b>
საშინაო	61.3	35.1	40.1	40.1	0.0	0.0%	5.0	14.2%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	35.0	35.0	40.0	40.0	0.0	0.0%	5.0	14.3%
სესხები	2.1	0.1	0.1	0.1	0.0	0.0%	0.0	-3.7%
სხვა კრედიტორული დავალიანებები	24.3	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	
საგარეო	454.1	725.0	893.8	893.8	0.0	0.0%	168.8	23.3%
სესხები	427.4	725.0	890.0	890.0	0.0	0.0%	165.0	22.8%
სხვა კრედიტორული დავალიანებები	26.6	0.0	3.8	3.8	0.0		3.8	
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>	

## დანართი 2.

ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დინამიკის შესახებ მხარჯავი დაწესებულებების დონეზე (ათასი ლარი).

	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი (I წარდგენა)	2019 წლის პროექტი (II წარდგენა)	2019 II წარდგენა / I წარდგენა	2019 II წარდგენა / I წარდგენა (%-ულად)
00 00	სულ ჯამი	11,764,835.40	12,459,500.00	12,729,700.00	12,997,585.00	267,885.0	2.1%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	59,223.50	62,131.00	64,736.00	64,736.00	0.0	0.0%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,194.60	9,800.00	9,800.00	9,800.00	0.0	0.0%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	331.3	1,800.00	750	750.00	0.0	0.0%

04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	17,940.40	16,500.00	15,800.00	15,800.00	0.0	0.0%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	14,156.80	14,517.20	16,170.80	16,170.80	0.0	0.0%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	64,259.70	67,058.20	27,487.10	27,487.10	0.0	0.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,057.50	4,150.00	4,150.00	4,150.00	0.0	0.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	7,567.30	8,400.00	9,000.00	9,500.00	500.0	5.6%
09 00	საერთო სასამართლოები	58,951.30	71,150.00	73,000.00	77,750.00	4,750.0	6.5%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,558.00	3,750.00	3,750.00	4,250.00	500.0	13.3%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	785.2	800	870	870.00	0.0	0.0%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	607.9	610	625	625.00	0.0	0.0%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის	734.8	735	780	780.00	0.0	0.0%

	მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში						
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	685.9	725	735	735.00	0.0	0.0%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	591	595	625	625.00	0.0	0.0%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	582.6	585	620	620.00	0.0	0.0%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	525.4	595	610	610.00	0.0	0.0%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	820.5	860	865	865.00	0.0	0.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის	624.5	625	630	630.00	0.0	0.0%

	ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში						
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	120,414.60	137,500.00	134,000.00	136,000.00	2,000.0	1.5%
21 00	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	65,380.80	82,010.00	87,600.00	87,600.00	0.0	0.0%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,834.10	1,600.00	2,850.00	2,850.00	0.0	0.0%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	80,745.20	82,300.00	91,000.00	91,000.00	0.0	0.0%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	689,428.30	229,550.00	324,750.00	344,750.00	20,000.0	6.2%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	1,355,746.40	1,815,000.00	1,965,000.00	1,965,000.00	0.0	0.0%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	209,564.50	63,000.00	184,895.00	186,400.00	1,505.0	0.8%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	3,548,393.40	3,623,570.00	3,863,070.00	3,937,000.00	73,930.0	1.9%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	119,367.00	120,950.00	127,000.00	136,500.00	9,500.0	7.5%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	770,019.60	802,000.00	790,000.00	870,000.00	80,000.0	10.1%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	546,148.10	569,590.00	643,500.00	644,000.00	500.0	0.1%

31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	368,068.70	274,765.00	298,100.00	332,300.00	34,200.0	11.5%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1,397,210.70	1,461,270.00	1,485,000.00	1,522,700.00	37,700.0	2.5%
33 00	საქართველოს პროკურატურა	35,633.00	36,000.00	36,000.00	36,000.00	0.0	0.0%
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,484.40	13,500.00	13,500.00	13,500.00	0.0	0.0%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,411.80	1,400.00	1,600.00	1,600.00	0.0	0.0%
